ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

2026 წლის ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 4032,4 ათასი ლარი. მ.შ. საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი განკარგულებებით არსებულმა ნაშთმა შეადგინა 3784,2 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი სახსრებით 238,2 ათასი ლარი.

მთავრობის მიერ გამოყოფილი განკარგულებებით არსებული ნაშთი 3784,2 ათასი ლარი მიიმართოს შემდეგი დანიშნულებით:

მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა საზოგადოების ინფორმირება, საქართველოს მთავრობის 30,07,2025 N1207 განკარგულებით (პროგრამული კოდი 01 01 04) 7,3 ათასი;

გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება - საქართველოს მთავრობის 31,12,2024 N1955 განკარგულებით 9,8 ათასი, საქართველოს მთავრობის 21,03,2025 N517 განკარგულებით 3,8 ათასი და საქართველოს მთავრობის 28,12,2023 N2402 განკარგულებებით 3,0 ათასი (პროგრამული კოდი 02 01 02) სულ : 16,6 ათასი;

საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია - საქართველოს მთავრობის 18,12,2025, N2129 განკარგულებით 101,2 ათასი, საქართველოს მთავრობის 18,12,2019, N2630 განკარგულებით 0,3 ათასი, საქართველოს მთავრობის 31,12,2020 N2685 განკარგულებით 0,3 ათასი, საქართველოს მთავრობის 17,01,2022 N75 განკარგულებით 0,8 ათასი, საქართველოს მთავრობის 13,05,2025, 2025, N783 განკარგულებით 0,7 ათასი, საქართველოს მთავრობის 30,05,2024 , N746 განკარგულებით 1,1 ათასი, საქართველოს მთავრობის 29,12,2022, N2475 განკარგულებით 1,9 ათასი, საქართველოს მთავრობის

18,01,2018, N136 განკარგულებით 0,2 ათასი, (პროგრამული კოდი 02 03 06) სულ: 106,5 ათასი,

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - საქართველოს მთავრობის 30,01,2025 N186 განკარგულებით 242,5 ათასი, საქართველოს მთავრობის 28,12,2023 N2400 განკარგულებით 1,0 ათასი, საქართველოს მთავრობის 10,07,2025 N1106 განკარგულებით 670,4 ათასი, საქართველოს მთავრობის 17,03,2025 N486 განკარგულებით 285,5 ათასი, საქართველოს მთავრობის 20,01,2023 N116 განკარგულებით 1,0 ათასი, სულ: (პროგრამული კოდი 02 06) 1200,4 ათასი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - საქართველოს მთავრობის 16,01,2025 N53 განკარგულებით 2,0 ათასი, საქართველოს მთავრობის 28,12,2023 N2401 განკარგულებით 0,1 ათასი, საქართველოს მთავრობის 29,12,2023 N2476 განკარგულებით 1,2 ათასი სულ: (პროგრამული კოდი 02 04) 3,3 ათასი;

საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურების შეძენა - საქართველოს მთავრობის 10, 07,2025, N1105 განკარგულებით (პროგრამული კოდი 02 09) 99,4 ათასი,

განათლების სისტემის ხელშეწყობა - საქართველოს მთავრობის 30,07,2025, N302 განკარგულებით (პროგრამული კოდი 04 02) 140,8 ათასი;

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა - საქართველოს მთავრობის 30,09,2025, N1604 განკარგულებით 40,4 ათასი, საქართველოს მთავრობის 23,01,2023 N147 განკარგულებით 0,2 ათასი, საქართველოს მთავრობის 30,09,2025 N2400 განკარგულებით 166,5 ათასი, სულ: (პროგრამული კოდი 04 05) 207,1 ათასი;

სტიქიური მოვლენების და მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება - საქართველოს მთავრობის 22,12,2025 N2172 განკარგულებით 2 000,0 ათასი, საქართველოს მთავრობის 27,08,2025 N1424 განკარგულებით 2,8 ათასი, სულ: (პროგრამული კოდი 06 02 03) 2002,8 ათასი ლარი.

ადგილობრივი სახსრების ნაშთი 238,2 ათასი ლარი მიიმართება: საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 04 05) 158,8 ათასი და საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაციის სამუშაოების ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 04 06) 79,4 ათასი ლარი.

სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიმდინარე წლის 09 იანვრის NCDC 1 2600012990 წერილის თანახმად გაიზრდება მიზნობრივი ტრანსფერი 15,4 ათასით და მიიმართება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხარჯებისათვის.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისათვის საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N85 განკარგულებიტ გამოეყო 730,0 ათასი ლარი, რომელისც მიიმართება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის (პროგრამული კოდი 02 040 ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 26 იანვრის №46. 46260262 ბრძანება.

დაკორექტირდა ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები დანართის შესაბამისად. იხილეთ დანართი.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 26 654,5 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-80 მუხლისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №22 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი, მე-2,მე-3,მე-4,მე-5,მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 . მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, მე-20 და 21-ე მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: *მ.გოგოლაძე*

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N53, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 22 დეკემბრის N2172, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 18 დეკემბრის N2129, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 17მარტის N486, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 27 აგვისტოს N1424 და საქართველოს მთავრობის 2025 წლის ივნისის N302, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N85 განკარგულებებთან.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 69-ე და მე-80 მუხლებთან და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია